**საქართველო**

**GEORGIA**

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 907/01
02/02/2022

907-01-2-202202021606

**შპს „ალ.კეს“**
**მის:** ლაგოდეხოს რაიონი, სოფ. აფენი
**ელ. ფოტა:** Spsh.al.ke@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N23243 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგეთში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებული სამუშაო გრაფიკის (წელიწადში 250 დღე, დღე-ღამეში 8 საათი) და დანადგარების წარმადობის (30 მ$^3$/სთ) გათვალისწინებით, წელიწადში მაქსიმუმ შესაძლებელია 60 000 მ$^3$ ქვიშა-ხრეშის გადამუშავება, თუმცა განცხადებაში აღნიშნულია რომ საწარმოში იგეგმება ინერტული მასალების წარმოება წლიურად - 900000 მ$^3$-ის ოდენობით, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადების მიხედვით საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 250 სამუშაო დღეს, ხოლო სამსელ-სამეურნეო წყლის ხარჯი დათვლილია 200 სამუშაო დღეზე, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

ნ. თან...

მინისტრის მოადგილე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE